ფსიქოლოგია

2. სადოქტორო პროგრამის კოორდინატორები

პროფესორები: თამარ გაგოშიძე, მარინე ჩიტაშვილი, ნინო ჯავახიშვილი, ასოცირებული პროფესორები: ნანა სუმბაძე, შალვა აბზიანიძე, ია კუტალაძე.

3. სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

პროგრამის მიზანი

ინდივიდუალური პროგრამის მიზანია დაეხმაროს სტუდენტებს სადისერტაციო/სამეცნიერო შრომის კვალიფიციურად შესრულებაში ფსიქოლოგიის დარგში ღრმა და სისტემური ცოდნის, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დამოუკიდებელი დაგეგმვისა და განხორციელების კომპეტენციების არსებობის პირობებში.

ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს:

- სადოქტორო პროგრამის მონაწილეების მეცნიერებად, მკვლევრებად და პრაქტიკოსებად ჩამოყალიბებას
- მეცნიერული კვლევის საფუძველზე, ადამიანის ფსიქიკისა და ქცევის ანალიზსა და პროგნოზირებას.

სადოქტორო პროგრამის ამოცანებია შემდეგი კომპეტენციების შეძენა:

- **კვლევითი სამუშაოს დამოუკიდებლად წარმოება:**
  - ⇒ *პრობლემის დასმა, კვლევისათვის ჰიპოთეზების ჩამოყალიბება;*
  - ⇒ *რელევანტური ლიტერატურის მოძიება და ანალიზი;*
  - ⇒ *კვლევის დაგეგმვა და ორგანიზება;*
  - ⇒ *მონაცემთა თვისობრივი და რაოდენობრივი დამუშავება და შედეგების ანალიზი;*
  - ⇒ *შედეგების პრეზენტაცია (სტატიები, მოხსენებები, სადისერტაციო ნაშრომი).*

პროგრამის შედეგი

სადოქტორო პროგრამის დამთავრების შემდგომ სპეციალისტს უნდა შეეძლოს:

- ფსიქოლოგიის დარგში დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დაგეგმვა და წარმოება, შედეგების წარმოდგენა;
- სასწავლო კურსის პროგრამის შედგენა და სასწავლო პროცესის წარმართვა.

სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდგომ დოქტორანტს შეუძლია: სამეცნიერო-კვლევითი პროექტების წარმოება, სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციაში დამოუკიდებელი პრაქტიკული მუშაობა, უმაღლეს სასწავლებელში სწავლება და პროფესიული წვრთნა.

კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები

ფსიქოლოგიის დოქტორს აქვს დასაქმების ფართო პერსპექტივა სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციაში – უმაღლესი სასწავლებელი, კერძო სტრუტურა, სახელმწიფო უწყება, არასამთვარობო ორგანიზაცია, გამოყენებითი კვლევისა და საკონსულტაციო ორგანიზაცია.

4. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები

მაგისტრის, ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ფსიქოლოგიაში.